



# საჯარო სამართლის იურიდიული პირი წიაღის ეროვნული სააგენტო



KA020149935585721

თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ფაქსი: +995 32 243 95 02

## ბრძანება № 570/ს

26 / აპრილი / 2021 წ.

### სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 და მე-19 მუხლების, „სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №136 დადგენილებისა და „სასარგებლო წიაღისეულის სარგებლობის ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის გამართვის, ლიცენზიის გაცემის საწყისი ფასის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსის 2018 წლის 1 მაისის №2 ბრძანების საფუძველზე,

#### ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. დამტკიცდეს აუქციონის ჩატარებისათვის გამოსაქვეყნებელი ინფორმაცია დანართი №1-ის შესაბამისად;
2. გამოცხადდეს ელექტრონული აუქციონი სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ამ ბრძანებით დამტკიცებული დანართი №1-ის შესაბამისად;
3. ელექტრონული აუქციონი ჩატარდეს ინტერნეტგვერდის – [www.eauction.ge](http://www.eauction.ge)-ს მეშვეობით;
4. ბიჯის სიდიდე განისაზღვროს საწყისი ფასის 10 %-ის ოდენობით;
5. აუქციონის ჩატარება ეთხოვოს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს;
6. აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია აუქციონის დასრულებიდან არა უგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში შესაბამის ანგარიშზე ნაღდი ან უნაღდო ანგარიშსწორებით შეიტანოს ის ფულადი თანხა, რომელიც შეესატყვისება მის მიერ აუქციონზე დასახელებულ საბოლოო/შემოთავაზებულ ფასს;
7. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში (ქ. თბილისი, სანაპიროს ქუჩა, №2.).